1)
1143/13.532
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბურჯი ეროვნებისა

1997 წელი | 2(19) | თებერვალი | BURJI EROVNEBISA | ფასი 40 თეთრი



ბესარიონ ჯორჯანაძის საზოგადოების გაზეთი

მთავარი რედაქტორი
გიორგი გოგოლაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე
იოსებ ჭუმბურიძე

დირექტორი
მირიან ხაჭვანი

რედაქტორები:
ციციანო (ნინო) კვანტალიანი,
მარინე კიკონიშვილი,
ნანა ლოლაძე
რამაზ ქურდაძე
ნინო ჭუმბურიძე

მხატვრული რედაქტორი
ილია ჭრელაშვილი

რედაქციის გამგე
მაია კობიაშვილი

სარედაქციო საბჭო
გენადი ბურჭულაძე
კახა გაბუნია
ლეილა გეგუჩაძე
ქეთევან დათუკიშვილი,
კორნელი დანელია,
რუსუდან ლანდია,
ნანა ურთაშვილი,
ჭაბუკა ქირია,
მიხეილ ქურდიანი,
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე
ნინო ჯღარკავა

მორიგე რედაქტორი
მარინე კიკონიშვილი

გაზეთი
„ბურჯი ეროვნებისა"
რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში, 1686.
მისამართი:
პ. ინგოროყვას ქ. №8,
ტ. 99-80-46

ინდექსი 76016

ეროვნული

პრობლემა

# დავფიქრდეთ ჩვენი შვილების რელიგიურ აღზრდაზე

საქართველოს განათლების სამინისტრომ სკოლებში შეიტანა საგანი "რელიგია და კულტურა". პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში ერთ-ერთ კათედრაზე, რომლის გამგეც ბატონი რ. თევზაძეა, დაიწყეს ამ საგნის მასწავლებლების მომზადება. მაგრამ ხდება გაუგებარი რამ: თუ მასწავლებელი რომელიმე ეკლესიის მრევლის წევრია, მას შეიძლება არ მისცენ სკოლაში სწავლების უფლება. თუ კათედრაზე გაიგებენ, რომ რომელიმე მასწავლებელმა ბავშვები ეკლესიაში საზიარებლად წაიყვანა, მას შეიძლება გაუჯავრდნენ – რატომ წაიყვანე ბავშვები ეკლესიაში, რატომ აზიარე, ეს შენ არ გევალებოდაო.

განათლების სამინისტროში ერთ-ერთ შეკრებაზე მინისტრმა ბატონმა თ. კვაჭანტირაძემ ბრძანა, რომ მღვდელი არ უნდა მივიდეს სკოლაში. რა უნდა მღვდელს სკოლაშიო.

ჩნდება კითხვა, თუ მართლმადიდებელ მღვდელს არ შეუძლია ასწავლოს სკოლაში, რომელი ან როგორი რელიგიის სწავლებას აპირებენ? თუ არ შეიძლება ბავშვები წაიყვანონ ეკლესიაში საზიარებლად, რომელ სალოცავებში უნდა ატარონ, სადაურ სარწმუნოებას უნდა აზიარონ ჩვენი შვილები?

ბატონი რ. თევზაძე წერს წიგნებს ამ საგანში "რელიგია და კულტურა". უკვე გამოვიდა სამი წიგნი– III, IV და V კლასებისათვის. ამ წიგნებში, რაც რელიგიას შეეხება, ძალიან შერბილებულად რომ ვთქვათ, მცდარია. ამ ინსტიტუტთან კავშირში ნ. პაპუაშვილმა დაწერა წიგნი "რელიგიის ისტორია", რომელიც ქვესათაურიდანვე ჩანს, არის სახელმძღვანელო პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებისათვის და დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის. ეს არის აშკარად მწვალებლური წიგნი, სადაც უარყოფილია მართლმადიდებელი სარწმუნოება, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოება, რომელსაც მარტო ერთს მიჰყავს ადამიანი ღვთის სასუფეველში. ამ წიგნში ყველაზე ცუდად და დამცინავად მოხსენიებულია მართლმადიდებელი ქრისტიანები და მართლმადიდებელი სარწმუნოება.

სულ ახლახანს გამოიცა მეშვიდე კლასის ისტორიის სახელმძღვანელო "შუა საუკუნეების ისტორია" (ავტორები: კ. ანთაძე, ლ. ფირცხალავა), რომელიც აგრძელებს წინა წიგნის თემას. თურმე იუდეველობა, ქრისტიანობა და მაჰმადიანობა დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და თუ არის რაიმე სხვაობა, ეს მხოლოდ წესჩვეულებებში და ყოფაში გამოიხატება. ამ სახელმძღვანელოში მაჰმადიანობას რამდენიმე თავი და ქვეთავი მიუძღვნეს. მართლმადიდებელი ეკლესია კი გაკვრით არის მოხსენიებული და ისე ცუდად, რომ ამის შესახებ სჯობდა საერთოდ არაფერი დაეწერათ.

რა ხდება ჩვენს თავს? ვის ხელშია ჩვენი შვილები და მათი სწავლა-განათლება?

ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე გამოავლინა სახარებისეული სიბრძნე იმით, რომ ყველაზე მეტად იცავდა ჭეშმარიტ სარწმუნოებას, მართლმადიდებლობას, იცავდა სიცოცხლის ფასად. ბევრმა მეფემ, მხედართმთავარმა, მეომარმა თუ უბრალო ადამიანმა შესწირა თავისი სიცოცხლე სარწმუნოების დაცვას. ბევრი სხვადასხვა სჯულის დამპყრობელი ცდილობდა აღმოეფხვრა საქართველოში ქრისტიანობა, მაგრამ ამაოდ. რაც მტარვალებმა ვერ შეძლეს ხმლით, ახლა კალმით ცდილობენ იმის გაკეთებას. ჩვენი ბავშვების გადარჩენისთვის ზრუნვა უნდათ უმცროსი ასაკიდან. ყოველწლიურად უნდათ, ჩვენს შვილებს რელიგიური სიცრუე ასწავლონ, ღმერთის განაშორონ, ეშმაკს დაუმონონ.

ყველას მოგიწოდებთ, კარგად დავფიქრდეთ ჩვენი შვილების რელიგიურ აღზრდაზე, ვიგრძნოთ პირადი პასუხისმგებლობა მათ მომავალზე და შევეცადოთ ისინი ნამდვილი მართლმადიდებელი ქრისტიანები გაიზარდონ.

რ. ბაბლუანი
მ. ბოჯაშვილი
ნ. და მ. თავზარიშვილ-ბაქრაძე
ნ. ძვანტალიანი
მ. ძიძარიშვილი

# აკაკი შანიძე

## IN MEMORIAM

*26.II. 1887 - 29.III. 1987*

*1994 წელს გამომცემლობა "Slavica Pablishers, Inc."-მა (აშშ) დასტამბა კრებული – „სსრკ-ს არასლავური ენები, მეოთხე კონფერენციის წერილები", რომლის რედაქტორია ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი ჰოვარდ არონსონი. წიგნი ეძღვნება აკაკი შანიძის ხსოვნას.*

*კრებულში მოთავსებულია ცნობილი უცხოელი ქართველოლოგების – ჰოვარდ არონსონის, როლანდ ბილმაიერის, ალის ჰარისის, დი ენ ჰოლისკის, კარლ ჰორსტ შმიდტის, კევინ ტუიტის და სხვათა წერილები ქართველურ ენათა საკითხებზე. აქვეა ნაშრომები მოლდავური, ლიტვური და კარელიის ენათა შესახებ.*

*წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ 1985 წელს ჩიკაგოს უნივერსიტეტში ჩატარდა მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც იმდროინდელი საბჭოთა კავშირის არასლავური ენების საკითხებს მიეძღვნა. კრებულში მოთავსებულია ამ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, რომლებიც კავკასიის ენებს ეხებოდა და მიძღვნილი იყო აკაკი შანიძის დაბადებიდან 98 წლისთავისადმი. ავტორებს იმედი ჰქონდათ, რომ ამ მოხსენებებს, სხვებთან ერთად, რომლებიც ამ კონფერენციაზე არ წაკითხულა, ბეჭდური სახით მიუძღვნიდნენ და გადასცემდნენ აკაკი შანიძეს დაბადებიდან ასი წლისთავისათვის. მაგრამ 1987 წლის 29 მარტს გარდაიცვალა აკაკი შანიძე ზუსტად ერთი თვის შემდეგ, რაც მას ასი წლის იუბილე გადაუხადეს. ამრიგად, ეს კრებული გახდა მისი მემორიალური ტომი, რომელიც მიძღვნილია დიდი მეცნიერის უკვდავი ხსოვნისადმი.*

*შესავლის სახით კრებულს უძღვის პროფ. ჰოვარდ არონსონის წერილი აკაკი შანიძის შესახებ, რომლის თარგმანსაც გთავაზობთ ჩვენს მკითხველს.*



1987 წლის 7 მარტი

იშვიათად თუ მოიძებნება, რომ მეცნიერს, მით უმეტეს ლინგვისტს, ისეთი დიდი როლი შეესრულებინოს თავისი ქვეყნის ისტორიაში, როგორიც აკაკი შანიძემ შეასრულა. აკაკი შანიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამაარსებელია; მეცნიერი, რომელმაც პირველმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თბილისის უნივერსიტეტში, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი, ფოლკლორისტი, ფილოლოგი, ენათმეცნიერი. ბატონი აკაკი დამსახურებულად იქცა ქართველი ხალხის ერთ-ერთ დიდ გმირად, იმ ერისა, რომელიც გმირთა ნაკლებობას არ განიცდის. მაგრამ აკაკი შანიძის მნიშვნელობა უფრო დიდია, ის ვრცელდება მისი მშობლიური მიწის საზღვრებზე ბევრად უფრო შორს, ბევრი ჩვენგანისათვის საქართველოს გარეთ მყოფთათვის. ქართული ენის მოჩვენებითი ქაოსის შანიძისეულმა ბრწყინვალე ახსნა-განმარტებებმა გახსნა კარი ქართულისა და სხვა ქართველური ენების შესწავლისათვის; ამის საშუალებით ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის და კულტურის ყველა ასპექტის საოცრებანი. ზოგ ჩვენგანს ქართული ენის ცოდნა დაეხმარა კავკასიის – „ენათა მთის" – ენებისა და კულტურის საიდუმლოთა გახსნაში. აკაკი შანიძის ძლიერი გავლენა (უშუალო თუ შუალობითი) ქართველოლოგიასა და ზოგად ენათმეცნიერებაზე ახლაც შეღავნდება როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ გამოცემულ შრომებში.

არ დარჩენილა ქართულის და ქართველური ენების არც ერთი სფერო, დაუვლებული, რომ არ იყოს აკაკი შანიძის სამეცნიერო წყაროებით. იგი იყო არა მარტო წამყვანი ფილოლოგი, არამედ ჭეშმარიტი ენათმეცნიერი მეტად თანამედროვე გაგებით. ის იყო ბოდუენ დე კურტენესა და ლ. შჩერბას ერთ-ერთი სტუდენტი. სტრუქტურალისტი ენათმეცნიერები აკაკი შანიძის შრომების კითხვისას დაუყოვნებლივ პოულობენ ნათესაურ სულს მათში.

აკაკი შანიძე იყო განსაკუთრებულად პროდუქტიული მეცნიერი. მისი გამოცემების ბიბლიოგრაფია 70 წლის განმავლობაში 1906 წლიდან 1976 წლამდე შეიცავს 760-ზე მეტ შრომას- თან უნდა გვახსოვდეს, რომ აკაკი შანიძის სამეცნიერო ნაყოფიერება გაგრძელდა კიდევ ათ წელზე მეტ ხანს, მის გარდაცვალებამდე. გასაკვირველია მისი ინტერესების თვალსაწიერი: ფოლკლორი, ისტორია, ლიტერატურა, ბიბლიოგრაფია, რუსთველოლოგია და ენათმეცნიერების დარგები: დიალექტოლოგია, ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია, ეტიმოლოგია, პალეოგრაფია, ენის ნორმირება. მაგრამ სიმრავლე არაა მთავარი, მთავარია მისი შრომების გასაოცარი ხარისხი. იმისათვის, რომ დავინახოთ, თუ რა სიღრმე შემოიტანა მან ენის სტრუქტურის აღწერაში, საკმარისია მხოლოდ შევადაროთ ერთმანეთს ქართული ენის გრამატიკები, დაწერილი შანიძემდე და მის მიერ.

აკაკი შანიძის ძირითადი შრომები ეხებოდა ქართული და ქართველური ენების ისტორიასა და სტრუქტურას. უდავოა, რომ ჩვენი ახლანდელი წარმოდგენა ქართულის ისტორიისა და სტრუ-

4

## აკაკი შანიძე — 110

3 ←

...ქტურის შესახებ გამომდინარეობს მისი სამეცნიერო გამოკვლევებიდან. ბევრ სამეცნიერო ტერმინსა და ცნებას შორის, რომლებიც აკაკი შანიძემ შემოიტანა, არის ისეთი აუცილებელი ტერმინები, როგორიცაა: ხანმეტი და ჰაემეტი (ტექსტები), ქცევა, მწკრივი* აკაკი შანიძემ პირველმა განიხილა მეგრული და ლაზური, როგორც ერთი ენის დიალექტები. მისი „ქართული ენის გრამატიკის" (I, მორფოლოგია, თბ. 1930 წ.) და მონუმენტური „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლების" (თბ. 1953 წ.) გავლენა შეიძლება ჩანდეს ქართული ენის ბევრ შემდგომ განხილვებში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.



ეს ცხადად იგრძნობა რუდენკოს, ფოგტის და ჩიქობავას ნაშრომებში, რომლებმაც თავის მხრივ მისაწვდომი გახადეს ქართული ენის სტრუქტურა ქართული ენის არმცოდნეთათვის აკაკი შანიძის გავლენა ნათლად იგრძნობა ქართველოლოგთა ახალგაზრდა თაობის შრომებში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

პრაქტიკული თვალსაზრისით აკაკი შანიძე თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენია. მისმა სახელმძღვანელოებმა გააცნო ქართველ მოსწავლეთა თაობებს თავიანთი მშობლიური ენის ნორმატიული გრამატიკა.

ძველი ქართული ენის ისტორიის, ძველი ქართული ენის გრამატიკის და ძველი ქართული სალიტერატურო ტექსტების შესწავლა დიდადაა დავალებული აკაკი შანიძის შრომებისაგან. მისი „ძველი ქართული ენის გრამატიკა" (თბ., 1976 წ.), რომელიც აკაკი შანიძისავე დაარსებული ცნობილი სერიის „ძველი ქართული ენის კათედრის შრომების" მეოცერამეტე ტომს წარმოადგენს, არის უძველესი ქართული ტექსტების გრამატიკის მოკლე, მაგრამ საფუძვლიანი გამოკვლევა. აკაკი შანიძე რედაქტორია ძველი ქართული ტექსტების კრიტიკული გამოცემისა. მარტივად რომ ვთქვათ, არ არსებობს ქართული ენათმეცნიერებისა და ფილოლოგიის სფერო, რომელშიც აკაკი შანიძეს არ დაეტოვებინოს კვალი.

აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ აკაკი შანიძის შრომები ალბანოლოგიაში. მათ რიცხვს მიეკუთვნება კავკასიის ამ ქრისტიანი ერის ანბანის პირველი აღწერა და ანალიზი.

ამ კრებულით ჩვენ, კავკასიურ ენათმეცნიერებაში მომუშავე არაკავკასიელი მეცნიერები, გამოვხატავთ ჩვენს აღტაცებას, მადლიერებას და პატივისცემას მეცნიერის მიმართ, რომელმაც მოახდინა ზეგავლენა ყველა ჩვენგანზე. ვიმედოვნებთ, რომ ეს წერილები მიღებული იქნება როგორც მოკრძალებით ვალის მოხდა აკაკი შანიძის ხსოვნისადმი და დასტურად იმისა, რომ ჩვენი კვლევის სფეროზე მისი გავლენა უწყვეტია.

**ჰოვარდ არონსონი**

*ჩიკაგო, ივნისი 1994*

*მასალა მოამზადეს მზიანა შანიძემ და რამაზ ქურდაძემ*

*ამ ტერმინებს გამოიყენებს თავის შრომებში ჰოვარდ არონსონი, ასევე სხვა უცხოელი ენათმეცნიერები. (მ.შ., რ.ქ.)

# აკაკი შანიძის უცნობი წერილები

*სიმონ ჯანაშიას არქივში დაცულია აკაკი შანიძის რამდენიმე წერილი. პირველი ორი წერილი 1924 წლითაა დათარიღებული. ამ დროს აკაკი შანიძე უკვე სახელმოხვეჭილი მეცნიერია, უნივერსიტეტის პროფესორი, სიმონ ჯანაშია კი- საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვებული დამწყები მეცნიერი. მიუხედავად ასეთი განსხვავებისა ასაკსა და სამეცნიერო მდგომარეობას შორის, სანიმუშოა ურთიერთობა მასწავლებელსა და მოწაფეს შორის. ვფიქრობთ, წერილები საინტერესოა ამ თვალსაზრისითაც.*

✉ 18.VIII. 1924

*სალოლაშენი[1]*

*ძვირფასო ბატონო სიმონ,*

ვსარგებლობ შემთხვევით, რომ გამოგესაუბროთ. გავიგე რომ აბასთუმანში მაინცა და მაინც კარგად ვერ მოწყობილხართ და ამან მეტად დამაღონა. მაინც როგორ ხართ და რასა იქთ? მანდ უნდა იყოს ბ. ივანე თიკანაძე[2] თავისი სახლობით. არა? სხვა ვინ არის უნივერსიტეტის მოღვაწეთაგან?

მე ვცხოვრობ სალოლაშენში. აქვეა არადეთი, სადაც ძველს დანგრეულს ეკლესიაში ქვა-ჯვარის ბაზისი აღმოჩნდა, რომელზედაც დაზიანებული პატარა წარწერაა საყურადღებო ფორმით:

ႰႣ [ႭႡႭႩ] ႫႠႰႣႤ [ႩႭ] ႫႫႱႨႤ ႱႩ

მრდლინი–მარადულინი–არადულინი, მაშასადამე, **მარადულ'** ში ისეთივე ფორმა გვაქვს, როგორც **მეგაბელ'** სა, **მეგრელ'** სა და მისთანებში.

ვეზიდარ' საგრამატიკო მასალებს და ვმუშაობ. როგორადაც მიდის საქმე ბ. ილიაც[3] ადლენის გერმანული ენის სახელმძღვანელოს. გაზეთები აქ კანტი-კუნტად მიდის და მაინცა და მაინც არა ვიცით, თუ რა ხდება ქვეყანაზედ. ბ. ბენდელიქტე[4], მალარია მჭირს მაწუხებდა, მაგრამ მოვკვეთიდი ახლა არ ვიცი როგორ არის ბ. ვარლამისა[5] არა ისმის რა. დღეს აქ გამოვლით სიმონ ყაუხჩიშვილს მოველოდით (წაღვერში მიდის), მაგრამ ჯერ არ ჩანს.

აბა ყოჩაღად! დედა-თქვენ მომიკითხეთ დიდი პატივისცემით. ბ. ივანეც თავისი ცოლშვილით მომიკითხეთ.

ელენე და ნინო[6] ალბათ

→ 5

4 ◄ მანდ კეკლუცობენ. მოკითხვას გითვლის[9] ბ. ილია.

გამარჯვებით!

*მარად თქვენი კეთილის მსურველი*
*ა. შანიძე*

✉ 1.X.1924

**ტფილისი**

**ბატონო სვიმონ,**

ხვალ, ხუთშაბათს, გამგეობის სხდომაზე იქნება გარჩეული თქვენი განცხადება და იმედი მაქვს, დახმარებას აღმოგიჩენენ[7]. მე ჩემის მხრით ვეცდები ძალიან.

უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები უკვე დაიწყო და დამთავრდება ერთი კვირის განმავლობაში. უნივერსიტეტის ცხოვრება ჯერ არ ჩამდგარა თავის კალაპოტში. თხუთმეტიდან უკვე იქნება ლექციების კითხვა. რაიმე ცვლილება ჯერ არ არის. ყველაზე მეტი მსურველი უნივერსიტეტში შემოსულია პოლიტეხნიკურსა და სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტებსა ჰყავს.

მე აქ გავეჩხირე ბინაზე[3].

ჩემი ყმაწვილები უკვე თბილისში არიან. ბენედიქტე უკვე ჩავა "წელიწდეულის" გამოცემის საქმეში. ვარლამიცა და გიორგიც[4] მუშაობენ. ვერ გავიგე მხოლოდ, სიმხური ესა ერევა ვარლამსა და ბენედიქტეს, თუ ესენი ერევიან მას. ამირანი (?) არ ამოსულა ჯერ, – სოფელში ზის გზის ფულის უქონლობის გამოც. სხვათა შორის "უწყრობის მაკალათია"[10] ენახე. რომელსაც თქვენ კარგად უნდა იცნობდეთ მგონია.

ჯერ ეს იყოს.

მომიკითხეთ დიდის პატივისცემით დედა-თქვენი და აგრეთვე ქ-ნი საშა ორმოთელის[11].

*მარად თქვენი კეთილის მოსურნე*
*და პატივისმცემელი ა.შანიძე*

**P.S.** გულიას[12] უკვე მოესწრე წერილი და ამ დღეებში უნდა ამოვიდეს და შეუდგეს საქმეს. ვერნიკე პირველად მარტო ამოვიდეს და ბინის საკითხის მოგვარების შემდეგ (რაზედაც ცდილობს რექტორი) ცოლ-შვილიც ამოიყვანოს.

ა.შ

✉ ბ-ნო სიმონ,

ჩემი „ხანმეტი ლექციონარი" (გრაცში რომ არის დაცული ამჟამად, შუხარდისეული) კარგა ხანია ფოტოტიპიურად დამზადებულია. მაგრამ გამოსვლა ვერ მოხერხდა ფულების გამო (რადგან 7630 მანეთამდეა მისაცემი კიდევ). მას წინასიტყვაობა უნდა წავუმძღვარო. სასურველია იმავე

# აკაკი შანიძის უცნობი წერილები



ქაღალდზე, რომელზედაც დაბეჭდილია ტაბულები, ტაბულები კი დაბეჭდილია სპისტ' და საფრანგეთ' საზოგადოებიდან მიღებულ საბეჭდი ქაღალდზე (მოსკ. მქრალი ფერისა). წინასიტყვაობას დასჭირდება რაღაც 160 (ან 165) ფურცელი. ვებების ეს ქაღალდი მიმიხერხოთ საზოგადოებიდან[13] და ამგვარად უნივერსიტეტის საბოლოო ლიკვიდაციამდე მოვასწრო წინასიტყვაობის მობეჭდვაც.

*მარად თქვენი*
*ა. შანიძე*
*18.IX. 930*

✉ 18.III. 941

**ბ. სიმონ,**

ს. ჯღიქა ძალიან ავად არის. წევს „ლეჩკომბინატში". წუხელ მე თვითონ ვიყავ. კონსილიუმი შედგა, ინფილტრატს ამბობენ. მდგომარეობა სერიოზულია. საჭიროა ახლავე ზომების მიღება საუკეთესო ექიმების თავზე დასაყენებლად. მე წუხელ ფრანგულიანს[14] ვეძახე მაგრამ ვერ გავაგონე (უკვე შინ არ იყო). დღესაც დავურეკე.

ეხლა გადმომცეს საავადმყოფოდან ტელეფონით: მდგომარეობა ისეთივეა, როგორც გუშინ.

*თქვენი ა. შანიძე*

**კომენტარები**

1 იმ ზაფხულს აკ. შანიძე სოფლებში ატარებდა, ს. ჯანაშია კი – აბასთუმანში.

2 ივ. თიკანაძე (1868-1943) – ცნობილი ექიმი, თსუ პროფესორი და კათედრის გამგე 1919 წლიდან, ს. ჯანაშიას ახლო ნათესავი.

3 ილ. ყიფშიძე (1882-1953), ალექსანდრე და გიგო ყიფშიძეების ძმა, საქართველოში გეოლოგიური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი, თსუ თანამშრომელი 1919 წლიდან.

4 არნ. ჩიქობავა.

5 ვარ. თოფურია.

6 ივ. თიკანაძის ქალიშვილები.

7 დაპირება ს. ჯანაშიასთვის ფულით დახმარებაზე.

8 როგორც ჩანს, 1924 წლის აჯანყების გამო.

9 ალბათ გიორგი ახვლედიანი.

10 ნიკო მაკალათია, ს. მაკალათიას ძმა, რუსთველის ისტორიის მკვლევარი.

11 საშა და ირმა კალატოზიშვილები, რეჟისორ მიხეილ კალატოზოვის დედა და და.

12 საქმე ეხება დ. გულიას მიწვევას თსუ-ში აფხაზური ენის კურსის წასაკითხად.

13 ამ დროის ს. ჯანაშია იყო საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მდივანი.

14 ა. ფრანგულიანი – („ლეჩკომბინატის") სამკურნალო კომბინატის დირექტორი.

*პუბლიკაცია მოამზადა და*
*კომენტარები დაურთო*
**რუსუდან ჯანაშიამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ადიდებს სული ჩემი უფალსა



*26 იანვარი (ახალი სტილით 8 თებერვალი) ხსენება წმ. კეთილმსახურისა დავით მეოთხისა მეფისა ყოვლისა საქართველოისა და აფხაზეთისა, აღმაშენებლად წოდებულისა.*
*2 თებერვალი (ახალი სტილით 15 თებერვალი) მირქმა (მიგებება) უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.*

## ილია ჭავჭავაძე

# დავით აღმაშენებელი

### (დავით აღმაშენებლის მოსახსენებელი დღისათვის - 26 იანვრისათვის)

არ ვიცით, სხვა როგორ ჰფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ **ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს**. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს - ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის, ისე **ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს**. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, - რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის-ფიცარზედ იჭდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევითა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისათვის და გაძლიერებისათვის.

უკეთესნი და უდიდესნი მოწამენი ერისა ხომ სხვა არა არიან-რა, თუ არ ერის გულის-ნადების და წყურვილის გამომეტყველნი და გამახორციელებელნი, რომელნიც ამის გამო თითქო შემოწმებლობენ, თითქო ჰქმნიან ისტორიასა, ამიტომაც ეს ამისთანა მოწამენი, ვამბობთ ჩვენ, დაუვიწყარნი უნდა იყვნენ, თუ ერს კიდევ ერობა ჰსურს და დედამიწის ზურგიდამ მტვერსავით ასაგველად არ გადაუდვია თავი. დავიწყება ამათისაკუთარის ვინაობის დავიწყებაა, და თუ კაცს თავისი ვინაობა არ ახსოვს, რიღას მაქნისაა? იგი ნადირია, რომელსაც, რაკი დედის ძუძუს მოჰშორდება, აღარ ახსოვს თავისი მშობელი და სიცოცხლის მიმნიჭებელი. გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და უდიდესთა მოწამეთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ესულდგმულობთ, ამათ სხვა სამსახურიც მოუძღვით ჩვენ-წინა. ისინი ცხოველი მაგალითებია მისი, თუ რა სიმაღლემდე შეუძლიან ერს ამა თუ იმ გარემოებაში მიაღწიოს. რამოდენადაც დიდ-ბუნებოვანია ამისთანა მოწამენი, რამოდენადაც ეს დიდ-ბუნებოვანობა ხშირია რომელისამე ერის ისტორიაში, იმოდენად უფრო უტყუარი საწყაო გვაქვს ხელთ ერის სიკეთის, ძალ-ღონის

და შემძლებლობის აწყვისათვის. თუ გუშინ იყვნენ ჩვენს სისხლისა და ხორცის დიდებულნი და სახელოვანნი კაცნი, რა მიზეზია, რომ ხვალაც არ გამოჩნდენ, თუ გარემოების იგივეობას ვიგულისხმებთ.

გარდა იმისა, რომ ამ უკეთესთა და



უდიდესთა მოწამეთა მეოხებით და ღვაწლით ვცხოვრობთ დღესა და ესულდგმულობთ, ამათ სხვა მნიშვნელობაცა აქვთ ერისათვის. ერი თავის გმირებში ჰპოულობს ივის

სულისა და გულისა, თავის მწვრთნელისა, თავის ღონეს და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს. ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდანების გვირგვინითა ჰმოსავს და ჰლოცულობს, ზოგს დიდ ბუნებოვანობის შარავანდედითა, და თაყვანსასცემს სახოებით და მადლობითა, ამიტომაც საჭიროა იმათი ხსოვნა, იმათი დაუვიწყარობა.

„ჩვენთვის, ადამიანებისათვის, საჭიროაო, - ამბობს ბრძენი სენეკა, - იმისთანა კაცი, რომ მის მიხედვით და მაგალითით შევიძლოთ საკუთარის ხასიათის გაწვრთნა და გამოტყდეცვა. ოჰ, რა ბედნიერია იგი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით გვწვრთნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაცაო".

ამისთანა ბედნიერი დავით აღმაშენებელია საქართველოს ერისთვის. მისი მიცვალების დღე 26 იანვარია. ხოლო საქართველოს ეკლესია, რომელიც ყოველთვის თავდადებით ჰპატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს ლიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა, 26 იანვარს აქებს და ადიდებს სახელოვანს დავით მეფეს, რომელსაც უტყუარმა განაჩენმა ერისამ, ეკლესიის დალოცვითა და კურთხევით, აღმაშენებლის სახელი დაარქვა საუკუნო სახსენებლად. ამ მართლა-და დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას, აოხრებულ ქვეყანა ააშენა, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა. და დღეს თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვართ, - ეს იქნება იმისი ღვაწლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს დიდება სახელსა მისსა!

ხოლო დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდ-ბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავგადადებული მოყვარე თავის ეროვნობისა და მართლმადიდებლის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნობისაც და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ როდესაც იგი ყოვლად შემძლებელ მბრძანებლად შეიქნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ჰზოგავდა.

7

6 ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან!

მეტი-და დიდ-ბუნებოვნობა მოეთხოვება განა მეთორმეტე საუკუნის კაცს მაშინ, როცა დღეს, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს საკვირველებად მოგვაჩნია გლადსტონი, რომ ირლანდიის ეროვნობას და სარწმუნოებას ესარჩლება იმავე კაცთმოყვარეობით, რა კაცთმოყვარეობითაც დავით აღმაშენებელი სხვა ერს პატივსა-სცემდა! ჩვენს მატიანეებს თავი დავანებოთ და ვიმოწმოთ სხვა ერის მემატიანენი, ისიც კი აღტაცებით იხსენიებენ დავით აღმაშენებელს, როგორც კაცს, პატივისმცემელს და შემწყნარებელს სხვა ერისას და სხვა რჯულისას.

ყოველივე ეს დიდსულოვნობა და სულგრძელობა დავითისა მაშინ არის მოსხ-დარი, როცა ძლევამოსილი იგი მეფე სრულად გაბატონდა თავის ქვეყანაში და, მაშასადამე, ამისთანა პატიოსანი და განათლებული ქცევა მარტო ამის დიდბუნებოვან გულს და გონებას უნდა მიეწეროს და არაფერს სხვას. იმას აღარ ვამბობთ, რომ სნეულთა, ულონოთა და საპყართათვის დავითმაააშენა სამკურნალო, თვითონ ხშირად დადიოდა ამ უბედურთა სანახავად და მოსაკითხავად.

აი ეს დიდებული მეფე – რა დიდებულ კაცურ-კაცის სახესაც მოგვიელვებს თვალ-წინ და რა თავმოსაწონებელს საბუთს გვაძლევს ხელთა. აი ამისთანა კაცის ხსენება გამა-ცოცხლებელი ერისა და ამისთანა კაცის არ-ხსოვნა მომაკვდინებელ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ერსა, რომელმაც იგი ჰშვა და თავის ძუძუთი გამოჰზარდა. ჩვენმა დამწყებ-მა ეკლესიამ ეს კარგად იცოდა და ამიტომაც 26 იანვარი დაგვინიშნა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც გაეიხსენოთ ეს ქართველისათვის თავმოსაწონებელი დიდებუ-ლი მეფე, დიდებული კაცი.

კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, – ამბობს ჩვენი ერი – ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ როგორც დიდბუნებოვანმა კაცმა – წაიყოლია სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი.

# მირქმა

**მირქმა ანუ მიგებება უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი** არის ათორმეტთაგან ერთ-ერთი უძრავი დღესასწაული და ეზეიმობა მას 2 თებერვალს (ახალი სტილით 15 თებერვალს).

მოსეს სჯულის თანახმად ებრაელი მშობლები თავიანთ პირმშოს ვაჟს მეორ-მოცე დღეს, განწმენდის შემდეგ ტაძარში წარადგენდნენ, შეძლების-დაგვარად ღვთისადმი მსხვერპლის შესაწირად, მადლისა და კურთხევის



მისაღებად. ყოვლადწმიდა ქალწული განწმედას არ საჭიროებდა, არც ძე ღვთისას ესაჭიროებოდა ტაძარში წარდგინება და მსხვერპლის შეწირვა. მაგრამ ისინი მაინც დაემორჩილნენ ძველ სჯულს და აღასრულეს იგი. ამიტომ მეორმოცე დღეს ყოვლადწმიდა მარიამმა და მართალმა იოსებმა ტაძარში წარადგინეს ყრმა იესო და შესწირეს ღმერთს ღარიბთათვის დაწე-სებული შესაწირავი- მტრედის ორი მართვე.

იერუსალიმში იმ დროს ცხოვრობ-და ღრმად მოხუცებული კაცი მართალი სვიმეონი, რომელსაც სულიწმიდისაგან აღთქმული ჰქონდა, რომ არ მოკვდებოდა, ვიდრე არ იხილავდა უფლის სოფლისას. სულიწმიდით მართალი სვიმეონი ტაძარში დახვდა იესოსა და მის მშობლებს, მიიღო ყრმა იესო, აიყვანა ხელში, აკურთხა ღმერთი და თქვა: „აწ განუტევე მონაჲ შენი, მეუფეო, სიტყჳსაებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ შენი" (ლუკა 2. 29,30).

იოსები და ქალწული მარიამი გაკვირვებული უსმენდნენ მოხუცე-ბულს. სვიმეონმა აკურთხა და დალოცა ისინიც. ისინი ასევე დალოცა ანა წინასწარმეტყველმა, 84 წლის ქვრივმა, რომელიც ქმართან ცხოვრობდა მხოლოდ 7 წელი; დანარჩენი ცხოვრე-ბა კი გაატარა ტაძრის ეზოში, „რომელი არა განეშორებოდა ტაძარსა მისგან მარხვითა და ვედრებითა და მსახურებდა დღე და ღამე" (ლუკა 2.37).

უფლის სჯულით რაც საჭირო იყო მართალმა იოსებმა და ყოვლადწმიდა ქალწულმა აღასრულეს და ნაზარეთში დაბრუნდნენ.

„ამისთვის გვახსოვდეს ძმაო, რა დიდი მაგალითი გვიჩვენა დღეს მაცხ-ოვარმან: ერთგულებით უნდა ვასრულებდეთ სჯულსა. პატივი და მორჩილება გვქონდეს ყოველი კანონ-ისა თვით ჩვენი სჯულისა და ქვეყნიერი, ხორციელი წარმატება და ბედნიერება მოითხოვს ამას" (გაბრიელ ეპისკოპოსი).

ხუცეს მაკვეთი ხატის ავტორი
გიორგი ჭარბიტლაძე



რუბრიკას უძღვება
ნინო ჭვანტალიანი

ადიდებს სული ჩემი უფალსა

აბიტურიენტის ფურცელი

ბიბლიოთეკა



**ხვთისო ზარიძე**

# „ტამებაჲ ტმიდისა მოტამისა ჰაბოჲსი"

## 2. „ნაშობნი ქრისტეანეთანი გარდაგულარძნეს"...

„წამებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი" ოთხი თავისაგან შედგება; თითოეულ თავს თავისი დანიშნულება აქვს თხზულების სიუჟეტსა და კომპოზიციაში. პირველი თავი აბოს მარტვილობის ეროვნულ-სარწმუნოებრივი მნიშვნელობის ახსნაა და იგი ქადაგების პრინციპებით არის აგებული; აბოს მოწამეობრივი თავგადასავალი მხოლოდ მეორე და მესამე თავებშია მოთხრობილი და ჰაგიოგრაფიული თხზულების ყველა ნიშანს ატარებს; მეოთხე თავი კი ჰიმნოგრაფიულია და აბოს მოწამეობრივი ღვაწლის განდიდებას ეძღვნება.

ასეთი აღნაგობის თხზულებას პოლიფონიურს უწოდებენ და რადგან იგი პირველია ქართული ლიტერატურის ისტორიაში, იოანე საბანის ძე უკვე ამით არის ახალი მიმართულების შემომტანი ჩვენში. მაგრამ მისი შემოქმედების ორიგინალურობა მარტო ამით არ ამოიწურება.

როგორც ვიცით, ჰაგიოგრაფია იმ ადამიანებზე მოგვითხრობდა, რომელნიც მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ თავისი სარწმუნოების გამო, მაგრამ მაინც მტკიცედ დადგნენ და არ უღალატეს მრწამსს. აბოს თავგანწირვაში კი სამოელ კათალიკოსს ამასთან ერთად „ყოვლისა ამისა სოფლისა ჩუენისა ქართლისათჳს" მარტვილობაც დაუნახავს და თავის წერილში, იოანეს სთხოვდა იგი, აღეწერა ისე, რომ თხზულებაში ყურადღება სწორედ მის ამ ეროვნულ მნიშვნელობაზე გამახვილებინა.

იოანეს, ბუნებრივია, მიუღია კათალიკოსის დავალება და თავისი მოთხრობა მართლაც ისე აუგია, რომ მასში უპირატესად ჩვენი ეროვნული მდგომარეობა და სატკივარია გამოკვეთილი, ქვეყანაზე მწვავე ფიქრით არის მისი ყველა კომპონენტი გააზრებული. ოღონდ ისე კი, რომ მხატვრული ზომიერებაც არსად ირღვევა.

იოანე დასაწყისშივე მიმართავს საზოგადოებას, რომ მან გულისყური მიაპყროს და ღრმად ჩაუკვირდეს აბო თბილელის თავგანწირვის ფაქტს: „არა თუ ჩემდა ხოლო მარტოჲსა სარგებელ არს სმენად საწადელი ესე მარტვილობაჲ წმიდისა ამის მოწამისაჲ, არამედ ყოველთა ჳერ არს თქუენდაცა დაკჳრვებად ჩემთანა, რომელნი – ესე შემოკრებულსა ამას ჟამსა მეშჳდესა დარსა ზედა ვდგათო".

„მეშჳდესა დარსა ზედა" დგომა მეორედ მოსვლის დასაწყისს, ანუ კაცობრიობის აღსასრულის მოახლოებას ნიშნავს.

„რაში გამოიხატებოდა კონკრეტულად იგი? იოანეს ამის ნათელსაყოფად ორი მაგალითი მოჰყავს: ერთია პავლე მოციქულის წერილი ტიმოთესადმი, სადაც მეორედ მოსვლის ნიშნები ასეა განსაზღვრული: „მოვალს ჟამი, ოდეს სიცოცხლისა ამის მოძღურებასა არა თავს-იდებდენ, არამედ გულის თქმისაებრ თჳსისა თავით თჳსით შეიკრებდენ მოძღურებასა ქავილთა ყურთაჲთა და ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი გარე მიიქცინენ და ზღაპრებსა მიექცნენო".

იოანეს ასეთი ნიშნები დაუნახავს არაბთაგან დაპყრობილ საქართველოში, რაც პირდაპირ არის ნათქვამი ამ დამოწმებული ამონაწერის კომენტარში: „რომელიცა-ესე აწ ჟამსა ამასა აღესრულების ჩუენ შორისო" და შემდეგ დაწვრილებით აღწერს ჩვენში ჩამოვარდნილ ამ „ჟამს" ისე, რომ ზოგან თავის სიტყვებს დიდად აღარ განასხვავებს მოციქულის ნათქვამთაგან: „რამეთუ რომელი-ესე ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა სასტიკებისაგან და სივერაგისა მანქანებითა მათ საცთურისათა, ზედამდგომელთა ამათ ჩუენთა, მკვლობელთა ამის ჟამისათა, ზაკულებითა მოძღურებითა თჳთ თავით თჳსით შეცულის-დებისათა, განდგომილთა ქრისტჱსგან. მრავალნი შეაცთუნნეს და განდრიკნეს გზისაგან სიმართლისა და ჭეშმარიტებისა ქრისტეს სახარებისასა შეაცთუნეს. რომელნი ხუთას წლისა ჟამთა და უწინარესღა რჩეულდებულ ყოვილ არიან წმიდითა მადლითა ნათლისღებისაჲთაო".

სამყაროს შექმნაცა და აღსასრულიც ქრისტიანული მოძღვრებით უფლის ნებაა და იოანეც, როგორც ჩანს, უფლისავე ნებას უნდა ხედავდეს აბოს მოღვაწეობაშიც, რადგან აი ასეთ არსაიდან საშველ ვითარებას აბოს მეშვეობით გადარჩენილი ჩვენი ქვეყნის სურათს უპირისპირებს: „ესევჱთარსა ჟამსა შინა, – აღნიშნავს იგი, – გამოჩნდა ახოვნად წმიდაჲ ესე მოწამე, არა თუ პირველითგანვე ჩუენგანი იყო.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ბე" №1, 1997 წ.

არამედ უმეცარი სარწმუნოებისაგან ჩუენისა: უცხოჲ უცხოჲთა შჯულითა მოვიდა და ქრისტესა, ღმრთისა ჩუენსა, შეემეცნა, რომლისათჳსცა დღეს კუალად ახალმან ამან დღესასწაულმან და კრებულმან წმიდისა და ახლისა მოწამისამან გჳრგჳნოსან-ყო ეკლესიაჲ, და ყოველი კრებული ქრისტეანეთაჲ ერთბაშად განანათლა, და ყოველნივე პირნი ღირს იქმნენ ამას დღესა გარდამეტებულისა მადლისა შეწირვად ქრისტეს მიმართ, ჭეშმარიტისა ღმრთისა ჩუენისა".

არაბებს, ცხადია, საქართველო არ დაუტოვებიათ აბოს გამოჩენის გამო. პირიქით, მათ აბო შეიპყრეს გაქრისტიანებისათვის და ჩვენი ხალხის შესაშინებლად დასაჯეს, მაგრამ ამ ფაქტში იოვანემ ის დაინახა, რომ აბოს მეშვეობით უფლისაკენ მიმავალი გზა ეპოვეთ ისეთ, რომელიც არაბთა ძალმომრეობისაგან დავიწყებული გექონდა, ცხადია, იმ ვითარებაში, რომელშიც მაშინ ქართველობა იყო ჩავარდნილი, ყველას არ შეეძლო ამის აღქმა. იგი ჯერ სამოელმა განჭვრიტა, ხოლო შემდეგ კი იოვანემ განასახოვნა ნათელმხილველის ძალა–უნარით და საზოგადოებას უბრალოდ დასაკვირვებლად კი არა, გასათავისებლად წარუდგინა. მაშასადამე, ამ ორი სურათის შეპირისპირებით იოვანემ გვიჩვენა, რომ საქართველოს ხსნა მხოლოდ რწმენისა და ქრისტესადმი სიყვარულის ამაღლებაშია.

როგორ მიაღწია ღვთისადმი ამ სამაგალითო სიყვარულს აბომ, ამას, როგორც ითქვა, თხზულების მეორე და მესამე თავები ეთმობა და მას ცალკე შევეხებით; მანამ კი აქ, თხზულების ქადაგებით ნაწილში, იოვანე სხვა საკითხებს წამოწევს, რომლებზედაც, იოვანეს რწმენით, ქართულ საზოგადოებას ასევე მუდმივი ფიქრი მართებდა.

1. არაბთა სარწმუნოება, იოვანეს სიტყვით, ღვთაებრივი სიბრძნის ნაყოფი კი არ არის მსგავსად ქრისტიანობისა, რომელიც თავად უფალმა იქადაგა კაცთა შორის, არამედ „თჳთ თავით თჳსით", ანუ კაცთა სურვილითა და ნებით შექმნილია და თუ „მიერითგან" ე.ი. არაბთა შემოსევიდან „ვიდრე აქამომდე" ნაშობნი ქრისტეანეთანი მაინც გარდაგულარძნეს, არა იმის გამო, რომ ამ სარწმუნოების სიყვარულმა და ღირსებამ მიიზიდა ვინმე, არამედ სხვადასხვა არაღვთაებრივი მიზეზების გამო: „რომელნიმე მძლავრობით, რომელნიმე შეტყუევილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკუვრობით"; ხოლო ვისზეც ამით ვერ იმოქმედეს „ზედამდგომელთა ამათ ჩუენთა, მფლობელთა ამის ჟამისათა" და ისინი „ჩუეულებისაებრ მამულისა სლვისა" დღემდე ჭირთა მოთმენით არ განეშორებიან მაცხოვრის სიყვარულს, ხარკთა უკიდურესი დამძიმებით ისეთ დღეში ჩაყარეს, რომ „შიშითა განილევიან და ირყევიან ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა". ამას, ცხადია, ღრმად უნდა დაკვირვებოდა ქართველი კაცი და სათანადო დასკვნები გამოეტანა.

2. იოვანესათვის და, ბუნებრივია, ყველა ქართველისათვისაც ქართლი, ანუ საქართველო, რაღაც აბსტრაქტული ცნება კი არა, კონკრეტულ დროსა და სივრცეში არსებული ქვეყანა იყო, რომელსაც გარდა ამ მწარე აწმყოსი, საამაყოდ გასახსენებელ[illegible] ჰქონდა, განა მას არ უკავშირდებოდა ჩვენ[illegible] „ჩუეულებისაებრ მამულისა სლვისა"? იოვანე ჯეროვან ყურადღებას უთმობს ამ საკითხსაც და ქართველი კაცის საფიქრალში რთავს.

ზევით უკვე დავიმოწმეთ: „რამეთუ რომელი ესე ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა". ლიტმეცოდნეობაში ახსნილია, რომ „ყურესა ამას ქუეყანასასა" ქრისტიანული ქვეყნიერების, ანუ მსოფლიოს, განაპირა მხარეს უნდა ნიშნავდეს. მაშასადამე, იოვანეს თვალსაზრისით საქართველო ქრისტიანული ცივილიზაციის განაპირა მხარეა და მას ის უპირატესობა აქვს თვით ამავე ცივილიზაციის ცენტრთან, რომ აქ იგი მარტოა პირისპირ დარჩენილი ხაზარებთან, თუ ქვეყნიერებას მკალივით მოდებულ არაბობასთან და მტკიცედ იცავს თავის სარწმუნოებას.

3. როცა იოვანე ამ საკითხებს წამოწევს, ქართველთა დიდ ღირსებად ის მიაჩნია, რომ ასეთ რთულ გარემოში ისინი აგერ უკვე „ხუთას წლისა ჟამთა და უწინარესცა რჩეულ-დებულ ყოფილ-არიან წმიდითა მადლითა ნათლისღებისაჲთა". თუ „წამებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი" 786–790 წლებშია დაწერილი, გამოდის, რომ ქართველობა ქრისტიანობას „ყურესა ამას ქუეყანისას" მარტო დღეს კი არა, დაახლოებით მესამე საუკუნის შუა წლებიდან მაინც უერთგულებდა. ზემოთქმულთან ერთად ამის აღნიშვნა, ცხადია, ცნობიერი მიხედვა იყო წარსულისაკენ, ისეთი მიხედვა, რომელშიც წარსული მყარ საყრდენად არის ქცეული მომავლისათვის.

4. მოცემულ საკითხებზე მსჯელობისას იოვანეს სიტყვათა სიღრმეში ბერძნებისადმი ჩუმი საყვედურიც ისმის, თავის დასასრულს კი ეს დაფარული უკმაყოფილება მათთან მეტოქეობაში გადადის რასაც ასე გამოხატავს ავტორი: „რამეთუ არა ხოლო ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისა მიერ მოიპოვეს, არამედ ჩუენცა, შორიელთა ამათ მკჳდრთაო"; „შორიელთა ამათ მკჳდრთა", როგორც რაღაც ცნების აღმნიშვნელი, აზრობრივად იგივეა, რაც „რომელი ესე ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა". მათი ასეთი დამთხვევა კი ისევ იმას გვიჩვენებს, თუ რას ემყარებოდა ქართველთა ეს მეტოქეობა ბერძნებთან.

5. პირველი თავის დასასრულს იოვანეს აღნიშნული აქვს ისიც, რომ საქართველო „წოდებულ არს დედად წმიდათა"; „რომელთამე თჳთ აქ მკჳდრთა და რომელთამე უცხოთა სხჳთ მოსრულთა ჩუენ შორის" მოწამეობრივი თავდადებით განადიდეს ჩვენი ერი და ეკლესია. აბოსაც ამ წმიდათა დასს უერთებს ავტორი, რითაც აწმყოს კვლავ კავშირში წარმოგვიდგენს წარსულთან და, ქ. ძველიძის თქმით, უეჭველად გვარწმუნებს, რომ ქართველთა „სიდიადე და კულტურული ღირებულება განიზომება ქრისტიანული სარწმუნოებით". ცხადია, მთელი თხზულების არსებითი სათქმელიც მართლაც ეს არის.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

10 ← ხედვიდეს ყოველნი მოქალაქენი..." მერე დამეს ნათელი უკვე წმ. აბოს ძვლებიდან სვეტის სახით ამოვმართა და გაანათა კბოდე საღოლდეგო და თვით ხიდი". „რათა ყოველთა ირწმუნონ, რამეთუ ჭეშმარიტად იესუ ქრისტეს ძისა ღმრთისა მარტვილ არს".

წმ. აბოს წამების შემდგომ „საღოლდეგო" ქართველთათვის უწმიდეს ადგილად იქცა. საუკუნეების მანძილზე აქ წმინდანისადმი საკვდრებელი ლოცვა აღევლინებოდა და ელინდებოდა ძალი და მადლი კურნებისა. XIX ს-ში წმ. აბოს მეოხებით დასნეულებული სენატორი საფონოვი განიკურნა. ღვთის სამადლობელად სენატორმა აქ წმინდანის ნიში განაახლებინა („წმიდა მოწამე აბო თბილელი" - საქართველოს საეგზარქოსოს გამოც. 1899 წ. გვ. 13).

სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია წინა საუკუნეებში როგორი იყო წარმოდგენილი ეს წმიდა ადგილი. ქართველთა მეფე ერეკლე II-მ აღა-მაჰმად-ხანთან ბრძოლის წინ სწორედ აქ აღმართულ ჯვართან ილოცა. XVII ს-შიც ამ ადგილის ჯვარი იდგა და კათოლიკოსი ანტონ I მის აღმართვას ქართველ მეფეებს მიაწერდა (მარტვილიკა ანტონისა). - (ჟურნ. *Закавказский вестник*, 1850, №28, м 1) რა იყო აქ? მხოლოდ ჯვარი, ტაძარი თუ ნიში? ცხადია, რომ მრავალჯერ დარბეული თბილისის ბედი ამ სამარტვილემაც გაიზიარა.

საკმაო ცნობები გვაქვს XIX ს-დან.

1830-იან წლებში გრაფმა პასკევიჩ-ერევანსკიმ ნიში ორნამენტებით გაალამაზა, კლდეში გამოქვაბულს კარები შეაბა და შიგ წმიდა ხატი დააბრძანა.

1843 წ. საქართველოს ეგზარქოსს, მთავარეპისკოპოს ევგენის, კავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსი გენერალი გურკო წერდა, რომ ხიდის მშენებლობისას გზის გაყვანასთან დაკავშირებით კლდის ბურცვის დროს გაჩნდა საშიშროება, რომ მტკვრის მარცხენა ნაპირზე კლდეში აგებული „პორტიკი" ორ სვეტზე, რომლის უკანაც მოთავსებული იყო წმ. აბოს ორი ხატი, ჩამოინგრეოდა. ამიტომ იგი სთხოვდა მის უსამღვდელოესობას, გაეცა განკარგულება, რომ ახალი კარიბჭის მოწყობამდე ეს ხატები ტაძარში გადაესვენებინათ. იგივე გენერალი სთხოვდა პოლიციმეისტერს გრავეროტს, რომ „პორტიკის" დანგრევისას სამღვდელოება „სადაც წმიდა მოწამე აბოს წმიდა ნაწილებია", უცნობლად დატოვონ. 1844 წ. მეტეხის ტაძრის მღვდელი ზაქარია მელადლიშვილი ქართლ-კახეთის ეგზარქოსს, არქიეპისკოპოსს ევგენის სწერდა: „თავის მეტეხთან ხიდის მშენებლობა მდინარე მტკვარზე უკვე დიდი ხანია, რაც დამთავრდა, მაგრამ წმიდა მოწამის განსასვენებელი დღემდე კედელზე გულსაკლავ მიტოვებულ მდგომარეობაში რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მოვალეობის გამო ბატონ პოლიციმეისტერს გრავეროტს ხშირად ვახსენებდი წმიდა აბოს წამების ადგილას ახალი კარიბჭის მოწყობას და თვით იგი იმედიანად მპირდებოდა, შემდეგ უარი მითხრა იმის გამო, რომ სახელმწიფო ხაზინიდან თანხები საამისოდ არ გამოუყვიათ". არქიეპისკოპოსმა ევგენიმ მთავრობას კარიბჭის ხელახლა აშენება სთხოვა (1844 წ. 31 ოქტ.). 1845 წლის ზაფხულში ახალი კარიბჭის მშენებლობა სახელმწიფო ხარჯით განხორციელდა და საქმეზე მიეწერა ფეოდოსიევების მონასტერს, რათა მას მოეხმარა წმიდა აბოს თაყვანისმცემლებისაგან გაღებული შემოწირულობანი (საქ ცსსა ფ. 488, საქ №9069).

1848-1850 წწ. საიდუმლო მრჩეველი, სენატორი ს.ე. საფონოვი იღწვის წმ. აბოს ნიშის განახლება-გამშვენიერებისათვის. მან აქ წმიდანის ხატი დაასვენა და კლდეში მინის კარი მიაწყო. 1850 წლის 29 ივნისის პეტრე-პავლობის დღესასწაულს წმიდა აბოს ნიში



საზეიმოდ იკურთხა. სიონის საკათედრო ტაძარში „სადმრთო ლიტურგიის შემდგომ ნიკოფორე გორის ეპისკოპოსი შეკრებილი სამღვდელოების თანხლებით გაემართა „ძველ ნანგრევებზე ახლახან აშენებულ პატარა სამლოცველოსაკენ". ლოცვის შემდგომ აკურთხეს სენატორის მიერ შემოწირული, კნ. გაგარინის მიერ დაწერილი ხატი. ეს ხატი დასვენებულ იქნა იმგვარად, რომ ყველა გამვლელს ხიდზე თვალწინ ექნა მისთვის. ამას იუწყებოდა 1850 წლის 15 ივლისის ჟურნალი *Закавказский вестник*, *"Освящение часовни Св. Або в Тифлисе"*.

1870 წელს მეტეხის ძირში პირველი ლითონის ხიდი აიგო. ხიდის სამუშაოებმა ჩანს ძველი თავისი კვალი დაამჩნია წმიდა აბოს ნიშს. ამ ახალი ხიდის მარჯვენა მხარეს მოწყობილი პატარა [illegible] ტორტ-ზახაროვის [illegible] დაკავებული. [illegible] ძლიერ დაბინძურებული ყოფილა. ამას ხიდის მშენებელთა აღშფოთება გამოუწვევია. მოუგებიათ დაუმტვრევიათ და უცხო პირთა შესვლაც აუკრძალავთ (საქ ცსსა ფ. 192, აღწ. №3, საქ №4).

1874 წელს მაიორ გორსკინის ქვრივმა ნინომ წმიდა აბოს ნიშის კარებს რკინის გისოსი შემოავლო. როგორც არქიმანდრიტ მაკარის 1877 წლის 28 აპრილით დათარიღებული წერილიდან ირკვევა, ნიშის კედლები და ხსენებული გისოსიც უკვე შეკეთებას საჭიროებდნენ (საქ ცსსა ფ. 500, აღწ. №4, საქ №18).

1882 წლისათვის მ.ვ. საბინინმა თავისი გულმოდგინებით გაამშვენა წმიდა აბოს ნიში და მანვე წმიდა მოწამის ახალი ხატი* დაწერა, რომელიც „დიდის გამოჩინებითა და ლიტანიით დაასვენეს ნიშში" („წმიდა მოწამე აბო თბილელი" - საქართველოს საეგზარქოსოს გამოც. 1899 წ. გვ. 19).

XIX ს-ის დასასრულს წმინდანისადმი ყურადღება განსაკუთრებით გაძლიერდა ყოვლად სამღვდელო ალავერდელი ეპისკოპოსის კირიონის ღვაწლით. შეადგინეს „ცხოვრება საკვდრებელი წმ. დიდისა მოწამისა აბოისი" (პარაკლისი), გამოიცა წიგნად მისი ცხოვრება და დაერთო ეს პარაკლისი („წმიდა მოწამე აბო თბილელი", საქ საეგზარხ. საეკლესიო მუზეუმი 3. ტფილისი, 1899 წ. გვ. 40). 1900 წლის 12 იანვრის გაზეთი „ივერია" იუწყებოდა, რომ წმინდანის ხსენების დღეს „8 იანვარს ხარფუხის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში მწირველი ბრძანდებოდა ალავერდის ეპისკოპოსი, ყოვლადუსამღვდელოესი კირიონი. წირვის დამთავრების შემდეგ სამღვდელოება ყოვლადუსამღვდელოესის კირიონის მეთაურობით ლიტანიით გამოემგზავრა ეკლესიიდგან ეორდისოვის ქუჩით წმ. აბოს სამარტვილისაკენ..." ამ დღეს წმ. აბოს სამარტვილესთან სამრევლო სკოლა იკურთხა ამ წმინდანის სახელზე ყოვლადუსამღვდელოესი ალავერდელი ეპისკოპოსის, შემდგომში კი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონის და მისი თანამებრძოლების სურვილი წმ. აბოს სამარტვილე-საღოლდეგოს ადგილზე ტაძრის აგება იყო, რაც განუხორციელებელი დარჩა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

დეკანოზი ბესარიონი (ბინაძე),
ქეთევან აბაშიძე,
ია გორგიშელი
რევაზ ჯანაშია

* საბინინისა და გაგარინის მიერ დაწერილი ორივე ხატი დღეს თბილისის მეტეხის ღვთისმშობლის შობის ტაძარში დასვენებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულ-ბრიტანული ყოფა

# საქართველოს ჩვენ რას ვარგებთ

## ვაგრძელებთ საუბარს თსუ ინგლისური ფილოლოგიის კათედრის პროფესორთან ლილი გოძსაძესთან

(საუბარი მეორე)

**– ქალბატონო ლილი, წინა საუბარში თქვით, რომ გასული წლის ოქტომბერში თქვენ სამეცნიერო მივლინებით იყავით ინგლისში და იქიდან უსაზღვროდ კმაყოფილი დაბრუნდით. რა იყო ამის მიზეზი?**

– მართალი ბრძანდებით. მე ნამდვილად ძალიან სასიამოვნო ექვსი კვირა მქონდა. არა იმიტომ, რომ ბოლო ხუთი წელი გასაგები მიზეზების გამო თბილისიდან ფეხი არ გამიდგამს, არამედ იმიტომ, რომ ეს წასვლა თამამად შეიძლება ჩაითვალოს ილუსტრაციად ანდაზისა – „რასაც დასთეს, იმას მოიმკი" (სხვათა შორის, ამ ანდაზას ბევრ ენაში აქვს ზუსტი შესატყვისი). ერთი კვირა მოსკოვში დავყავი და შევხვდი ჩემს ხელმძღვანელთან აკადემიკოს ენ. იარცევასთან და ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხვა გამოჩენილ პიროვნებებთან. ჩემთვის ნამდვილი ზეიმი იყო. ინგლისში მეტად მნიშვნელოვანი იყო შეხვედრები უორიკისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში. ამ ორ უნივერსიტეტში პროფ. **რუსუდან ერისთავის** წყალობით უკვე იცნობდნენ ჩემს სამუშაო გეგმას, რისთვისაც დიდად მადლობელი ვარ ქალბატონ რუსუდანის. უორიკისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან პირადი შეხვედრები მეტად მნიშვნელოვანი იყო, როგორც მომავალი სამეცნიერო მუშაობის, ასევე მეცნიერთა გაცვლის გეგმების დასახვის მხრივ.

**– რას გვეტყოდით კონკრეტულად უორიკის უნივერსიტეტის თაობაზე**




University of Warwick Coventry CV4 7AL
Telephone: (01203) 523 523 Facsimile: (01203) 461 606



– უორიკის უნივერსიტეტი მდებარეობს ინგლისის ცენტრალურ ნაწილში, უორიკის საგრაფოს ქალაქ ქოვენტრიში. ეს უნივერსიტეტი მეორეა ბრიტანეთის უნივერსიტეტებს შორის სამეცნიერო შრომების ხარისხის მიხედვით, კი დიდი ბრიტანეთის 100 უნივერსიტეტიდან უორიკის უნივერსიტეტი მეხუთე ადგილზეა ასეთი თანამიმდევრობით:

I. კემბრიჯის უნივერსიტეტი;
II. ოქსფორდის უნივერსიტეტი;
III. ლონდონის უნივერსიტეტის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი;
IV. ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯი;
V. უორიკის უნივერსიტეტი.

უორიკის უნივერსიტეტს 200 ჰექტარი ფართობი უჭირავს. აქ 43 სამეცნიერო ცენტრი და ინსტიტუტია (იხ. ფოტო). ამ უნივერსიტეტის 36 ფაკულტეტზე 12800 სტუდენტი და ასპირანტი სწავლობს (ასპირანტთა რაოდენობა საკმაოდ დიდია – 4900). გარდა ამისა, დაახლოებით 20000 სტუდენტი ჩამოდის ხოლმე აქ სხვადასხვა სახის კვალიფიკაციის კურსებზე.

თბილისის უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრის დამეგობრებას უორიკის უნივერსიტეტთან საფუძველი ჩაუყარა ბრიტანეთის იმჟამინდელ საპატიო წევრმა ბატონმა **დევიდ რაუსონმა**, რომელიც უკვე რვა წელიწადია თბილისში ცხოვრობს და მოღვაწეობს. ჩემი და დოც. დალი ჭიღაიას ამ უნივერსიტეტში მივლინებით კიდევ უფრო გაღრმავდა ეს კარგად დაწყებული საქმე (მადლობა ქალბატონ დალის სამაგალითო მეგობრობისათვის). აუცილებელი ადმინისტრაციის დირექტორი **იან სმითი**, რომელიც გასაოცარი ერთგულებით და ენერგიით ზრუნავს ქართულ-ინგლისურ ურთიერთობათა განმტკიცებისათვის.

**– რას იტყოდით თქვენი სამუშაო გეგმის თაობაზე**

– ძალიან მოკლედ ჩემი სამუშაო გეგმა ასე გამოიყურება: ჯგუფთან ერთად (5-7 კაცის შემადგენლობით) განზრახული მაქვს დავწერო წიგნი, უფრო სწორად, ბროშურათა სერია – „ბრიტანული ცოდნა და ქართულ-ინგლისური ყოფის თავისებურებანი". კვლევა უნდა განხორციელდეს სამი მიმართულებით: 1) ლინგვისტური, 2) ფსიქოლოგიური, 3) სოციალურ-ისტორიული. განზრახული გვაქვს ჯერ სხვადასხვა საკითხის კვლევა განვახორციელოთ სინქრონულ ასპექტში, ანუ შევისწავლოთ დღევანდელობა, ხოლო შემდგომ მოდულები განვიხილოთ რეტროსპექტივაში, რადგან ბევრ საკითხს ნათელს ჰფენს მხოლოდ მათი ისტორიული კვლევა.

ყოველი საკითხის მიზანია გარკვეული წვლილი შეიტანოს ქართველთა და ინგლისელთა ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი ურთიერთობისას სასიამოვნო ატმოსფეროს შექმნაში. განზრახული გვაქვს გამოვიყენოთ გარკვეული მაქსიმები.

13

## სხვა გაზეთებიდან

***გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" (24-31 იანვარი, 1997 წ., №4) გამოქვეყნდა მწერალ თამაზ ჭილაძის პუბლიცისტური წერილი „საერთო ჭრილობები".***

***ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ მცირე მონაკვეთს ამ უაღრესად საინტერესო წერილიდან (ვისაც არ წაუკითხავს, ვურჩევდით კი მთლიანად წაეკითხა...), ვთავაზობთ იმ იმედით, რომ რაც უფრო მეტი გაითავისებს ამ ტკივილებს, რაც უფრო მეტს ჩააფიქრებს ეს პრობლემები, მით უფრო ადრე მოშუშდება საერთო ჭრილობები.***

# ქართული მწერლობა და ქართული ენა

დღითიდღე ყველა გონიერი ქართველისათვის ნათელი ხდება, რომ ერთადერთი ქმედითი ძალა, რომელიც ერს სრული გადაგვარების საფრთხეს არიდებდა, იყო ქართული მწერლობა. ენაც ქართველ ხალხს ღირსეულად გადაატანინა ამქვეყნად ყველაზე დამამცირებელი რამ – მონობა. ენაც დაბორკილებს, გვაჩუქა სულიერი სამშობლო, ანუ შეგვიქმნა დიადი გადამრჩენი ილუზია, რომ სამშობლო გვქონდა.

ქართული მწერლობა ყოველთვის იდგა ქართული კულტურის გალაქტიკის ცენტრში და წარმართავდა მის განვითარებას. ეს ბუნებრივი, ცხოველმყოფელი პროცესი დღეს ხელოვნურადაა შეჩერებული, მაგრამ, იმედია, ისევ ისე გაგრძელდება და ამით მთელი ქართული კულტურა მოიგებს.

ქართულმა მწერლობამ წარსულისაგან ანდერძივით მიიღო უზენაესი ვალდებულება. ქართული ენის მოვლა-პატრონობა რომ არა, თუკი მართლა რამეთი დაასაჩუქრა ქართველი ადამიანი ღმერთმა, მათ შორის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ქართული ენაა. ის სამღვთოდ ღმერთის საჩუქარია. იგივე ჩვენი ფარი და ხმალი, იგივე ჩვენი ეროვნული ღირსების ბალავარი, ჩვენი ჭერი ავდრის დროის და ავი ნიავ-ქარისაგან შინა. ჩვენს ენაში ბევრი საიდუმლოა დამარხული, თქვა გენიოსმა ბერმა, ანუ ამ ენით ყველაფერის გამოთქმა, გამოხატვა შეიძლებაო, რაც კი ადამიანის ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. იმედია, სიმართლეში ასე გაზრდილიყოს და გამდიდრებულიყოს ენა. ამ საიდუმლო ლინგვისტიკურ კოდში მართლაც მთელი ჩვენი ცხოვრებაა წინასწარ ჩადებული. ჩადებულია ყველა ლიტერატურული ქმნილება, თუნდაც "ვეფხისტყაოსანი" ან დღევანდელი, თუ ხვალინდელი პოეტების თხზულებანი. ამიტომაცაა, პოეტების ქმედებას იდუმალების იერი რომ ახლავს. ლიტერატურული პროცესი თითქოს საიდუმლოს ამოხსნაა, უფრო ზუსტად, საიდუმლოსთან მიახლოვება. ამასთანავე, იოანე ზოსიმე გვაძლევდა რწმენას იმისა, რომ მეორედ მოსვლის დროს მაცხოვარი ჩვენს ენაზე იქადაგებდა და ეს რწმენა თანდათანობით ჩვენს ეროვნულ მისიად, მე ვიტყოდი–ვალდებულებად იქცა. ეროვნულ სამოქმედო პროგრამად, რომლისთვისაც სწორედ ჩვენ უნდა დაგვეცვა და შეგვენახა ენა, რომელიც ასეთი ზემნიშვნელობით გამოირჩეოდა მომავალში, რაც, თავისთავად, ჩვენი ენის უძვირფასეს ღირსებებზეც მიგვანიშნებდა– სისადავესა და მრავალსიმბოლოებზე, სიღრმესა და სიმდიდრეზე. თითქოს ნათელმხილველი ბერი წინასწარ ჭვრეტდა ქართველი ხალხის გასავლელ გზას ჯალალედინების, ჩინგიზ ხანების, შაჰ-აბასებისა თუ ვორონცოვების გოლგოთებში. თითქოს იმ ძველიდან გამომდინარეობდა ჩვენს არსებაში მაცოცხლებელი აზრი: თუ ერი გადაარჩენდა თავის ენას, გადარჩებოდა თვითონაც. ამიტომაც იყო, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლა ჩვენთვის ყოველთვის ენის გადარჩენის იდეით იყო მოტივირებული.

ენას, როგორც ზღვას, თვითგანწმენდის უნარი აქვს და ზღვასავით, თვითონვე ადგენს საკუთარ საზღვრებს. მწერლობა გარედან კი არ აკეთილებს ენას, არამედ თვითონ არის მონაწილე ამ დიადი სასწაულისა. ცოცხალი ენა განუწყვეტლივ ვითარდება, ავსებს და ხშირ შემთხვევაში არღვევს კიდეც ფილოლოგიური ინერციის პარაგრაფებს, ანუ რომ, ენაც აერთიანებს ენას, ის იცავს კიდეც მას. ენა ისტორიაა ხალხისა უთქმელი, ხალხის ისტორია პოეტს ეკუთვნის. ამრიგად, თუ გვინდა წმინდად შევინარჩუნოთ, უნდა ვიფიქროთ მწერლობაზე, ანუ მწერლობით უნდა დავიცვათ ენაზე ზრუნვა...

---

12 ◄

ანუ ზოგადი პრინციპები, რომლებიც დაეხმარება ამ ორ განსხვავებულ ენაზე მოლაპარაკე და განსხვავებული ყოფის მქონე ხალხს წარმატებით ითანამშრომლონ ერთმანეთთან.

## საქართველოს ჩვენ რას მარგებთ

ყოველი ერის თუ კოლექტივის წარმომადგენელს გარკვეული ცოდნა უნდა ჰქონდეს მისი პარტნიორის ყოფითი ნორმებზე. ამისთვის კი აუცილებელია, რომ იგი აღჭურვილი იყოს ფონისეული ცოდნით. ასეთი ფონისეული ცოდნის უქონლობა ხელს უშლის სრულფასოვან კომუნიკაციას. ამის გამო ხშირია რაიმე გადმოცემული ინფორმაციის არასწორად გაგება და თვით პარტნიორის ხასიათისა თუ თვისებების არასწორი შეფასება. პარტნიორთა არასწორად შეფასებისას კი ძნელია მიაღწიო წარმატებას მოლაპარაკებებზე.

**– ხომ არ ჩამოგვითვლიდით იმ საკითხებს, რომლებზედაც აპირებთ მუშაობას.**

– სიამოვნებით დავასახელებ რამდენიმე მათგანს:

1) თავაზიანი მიმართვის ზოგიერთი ასპექტი ქართულსა და ინგლისურში: მისალმება, დამშვიდობება, მადლობის გადახდა, ბოდიშის მოხდა და სხვა.

2) მასპინძლის კულტურა საქართველოსა და ბრიტანეთში (პირადი და საქმიანი საუბრები);

3) ტელეფონი: ტელეფონის ტიპები და მათი ამოცნობის საშუალებანი;

4) ახლობლები, როგორც ქართული და ინგლისური ყოფის მსგავსება-განსხვავებათა სარკე;

5) ქათინაურები;

6) საჩუქრის მიცემა– მიღების რიტუალი;

7) არავერბალური კომუნიკაციის ზოგიერთი საკითხი: ჟესტ-მიმიკა, კოცნა, ხელის ჩამორთმევა და სხვა;

8) წვეულებანი: ოფიციალური, ნახევრად ოფიციალური, შინაური.

9) სიტყვის „სტუმარი" მნიშვნელობა ჩვენთვის და ინგლისელთათვის;

10) პაროდიების თავისებურება ჩვენეული და ინგლისელთა გაგებით.

შევნიშნავ, რომ ყველა ამ საკითხს თან უნდა ახლდეს კონკრეტული რჩევები იმის თაობაზე თუ რისი კეთება ან თქმა არის დაუშვებელი.

სხვათაშორის, ჩვენს პროგრამას გაეცნო და მაღალი შეფასება მისცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ნ. არუთიუნოვამ. მკითხველს ბოდიშს მოვუხდი, და მის აზრს დედნის ენაზე მოვიყვან: *„Предпринятое исследование позволит двум великим нациям лучше понять друг друга и избежать случайных ошибок в процессе взаимодействия официального и частного, а также неверной интерпретации действий партнера"*. მინდა ვთქვა ისიც, რომ ჩვენი ჯგუფი სიამოვნებით ითანამშრომლებს ყველასთან, ვისაც ამის სურვილი აქვს.

**– ქალბატონო ლილი, დაწყებული საქმის წარმატებით განხორციელებას გისურვებთ და იმედს გამოვთქვამთ, რომ ამ საინტერესო საკითხებზე ჩვენს მკითხველთან კვლავაც მოგიწევთ საუბარი.**

ესაუბრა

**გიორგი გოგოლაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა - ჩვენი სატკივარი

# „გველისმჭამელი" თუ „გველის პერანგი"?

საქართველო მსოფლიოში უცნაურობით ერთადერთი ქვეყანა არის, ხალხი უცოდინარობაში ფულს რომ იხდის აქედან გამომდინარე, განათლებული დიპლომანტების რაოდენობით საქართველოს მსოფლიოში რომ ვერავინ ვერ შეეცილება, ამის მტკიცე გარანტიას ჩვენში სოკოსავით მომრავლებული ფასიანი კერძო უმაღლესი სასწავლებლები გვაძლევს. ალბათ ბევრს კარგად ახსოვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობებზე - „დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს მეცნიერების ყველა დარგში". როგორც საქმიდან ჩანს, ქართველთა ერთ ნაწილს კარგად აქვს შესისხლხორცებული ამ ლოზუნგის მნიშვნელობა და ჩვენში ამ ბოლო დროს იმდენი კერძო უმაღლესი სასწავლებელი გახსნეს, რამდენიც ალბათ საქართველოს ცაზე ვარსკვლავიც არ არის. ჩვენმა ქვეყანამ უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობით ერთიანად გაასწრო ამერიკას, ინგლისს, საფრანგეთსა და იტალიას და იმედია ამ დამსახურებისათვის ახლო მომავალში უკონკურსოდ გინესის წიგნში იქნება შეტანილი.

ეს პატარა რეპლიკა ერთმა მეტყველმა ფაქტმა დამაწერინა და რადგან იგი დღეისათვის გამონაკლისი არ გახლავთ, მისი საამშკარაოზე გამოტანა მიზანშეწონილად ვცანი. ახლახან ერთმა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც თბილისის ერთ-ერთი ფასიანი კერძო უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული (რომელი? მას შეგნებულად არ ვასახელებ - დ.ც.), მითხრა, გოგოლის ორიგინალის „გველისმჭამელის" წაკითხვა მინდა და მათხოვეო. მე მისი ნათქვამი ელდასავით მეცა, მაგრამ თავი შევიკავე, არ შევიმჩნიე, საუბარში შევყევი და მივხვდი, რაც სურდა: ავტორი და გრიგოლ რობაქიძის ნიჭის მშვენება „გველის პერანგი" მიეცა წასაკითხად, რამაც განმაცვიფრა. ის იყო, რომ მის სახეზე ვერც უხერხულობა შევამჩნიე და ვერც სირცხვილი. ან კი რა უხერხულობაზეა საუბარი, მაშინ როდესაც ის უბედური ერთიმეორისაგან ვერ არჩევდა გრიგოლ ორბელიანის, ვაჟა-ფშაველასა და გრიგოლ რობაქიძის ნაწარმოებებს. ამასაც მოვესწარით! სამწუხაროდ, დღეისათვის ასეთები უფრო მომრავლდნენ ჩვენში, ვიდრე წიგნიერნი და განათლებულნი.

მშობლიური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის საგნებით მოპყრობა და პატრონობა სჭირდება: ყოველ შემთხვევაში, არა ისეთი, როგორიც თბილისურმა და ქუთაისურმა ზოგიერთმა უმაღლესმა სასწავლებელმა გამოიჩინა: ერთიც და მეორეც თავიანთ გვერდით გამოაცხადეს. ამას ცოტა ხნის წინათ ვერავინ მტერიც ვერ შემოგვებედებოდა, ახლა კი შინაურიც აღარ გვზოგავს. ამიტომ დროა შევიკრათ განგაშის ზარები და **დავუბრუნოთ ქონაგად** სასწავლო **ქართულ ენას, მშობლიურ ლიტერატურას** და **ჩვენი ქვეყნის** დიდებულ **ისტორიას,** თორემ მათ წაბილწვას მომავალი თაობა არ გვაპატიებს. შეგვეშინდეს!

**ᲓᲣᲠᲛᲘᲨᲮᲐᲜ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ**

---

## უიმედობა

მეოთხეკურსელებს გამოსაშვებ გამოცდაზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში ასეთი თავისუფალი თემა მოგვცეს: „ოცი წლის შემდეგ" ეწყობა. ჩვენი განათლების მინისტრი იმდენად კარგად გრძნობს აწმყოს საშინელებას, რომ ჩვენი ყურადღება შორეულ მომავალზე გადააქვს, ისე კი, მართლაც საინტერესოა, როგორი იქნება განათლების სისტემა ოცი წლის შემდეგ? თუ ლეიბნიცს დავუჯერებთ, მომავლის მშობელი აწმყოა და, ამდენად, სანუგეშოს ვერაფერს ვეწინასწარმეტყველებთ.

მაინც როგორია აწმყო?

რას პირდებიან პირველკურსელებს, ბავშვებს, რომლებმაც პირველად შედგეს ფეხი სკოლაში? ზამთარში ცივ საკლასო ოთახებს, [illegible], რომლებითაც ნავთი თავად უნდა მოიტანონ, არის ზამთარში გასათბობად სხვა საშუალებაც - შეშის ღუმელი. ზაფხულში რითღა ვისუნთქოთ, თუ ზამთარში ხეებს გავჩეხავთ? სკოლების მდგომარეობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: დანგრეული მერხები, სკამები... მასწავლებლები აცდენენ გაკვეთილებს. მაღალ კლასებში უკვე მოსწავლეები აღარ დადიან. რა ჩანს? ხომ უნდა მოემზადონ რეპეტიტორებთან?, აბა, გამოცდები სხვანაირად როგორ ჩააბარონ?! ჩვენ იმ დროს დიდი ხანია გამოვეთხოვეთ, როცა ახალსკოლადამთავრებული აბიტურიენტი სკოლაში შეძენილი ცოდნით მისაღები გამოცდების ჩაბარებას.

განათლების სისტემაში იმდენი პრობლემაა, შეიძლება სიტყვა- „განათლება" „პრობლემა" სიტყვის სინონიმადაც გამოვიყენოთ.

თუნდაც სახელმძღვანელოების საკითხი ავიღოთ: ან არ არსებობს, ან წიგნებს საშინლად მაღალი ფასები ადევს... სხვაც ბევრი რამ შეიძლებოდა ითქმულიყო: თუნდაც პედაგოგთა დაბალი ხელფასები ნეტავ. წელს რამდენი სკოლა გათბება? ახლა ჩვენმა სამინისტრომ პედაგოგთა ატესტაცია მოიგონა... უფრო ადრე თუ მშობლებს მასწავლებელი დაუპირისპირა, ახლა - მასწავლებელს - მასწავლებელი.

რით დამთავრდება ყოველივე ეს?
ნეტავ გვეშველება რამე?..
ვნახოთ მერე.

**მაკა ბაღდარია,**
**თსუ ჟურნალისტიკის**
**ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი**

---

## ინფორმაცია

* * *

1995 წლის მიწურულს ქალაქ გორში ამოქმედდა ცხინვალის რეგიონის მწერალთა ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს შიდა ქართლისა და მის ფარგლებს გარეთ გახიზნულ-გადახვეწილი მწერლების, პოეტების, შემოქმედებითი ადამიანების შემოკრებას. გასული წლის ივნისიდან გამოდის ცხინვალის რეგიონის ყოველთვიური გაზეთი „ლიტერატურული ცხინვალი". ამჟამად გამოვიდა მისი მე-8 ნომერი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დღესდღეობით უამრავი ჟურნალ-გაზეთი არსებობს და მათი რიცხვი სულ უფრო იზრდება, „ლიტერატურული ცხინვალის" გამოსვლა არ შეიძლება სასიხარულო ფაქტად არ მივიჩნიოთ. ვუსურვებთ გაზეთის რედაქციას შესრულებინოს მის მიერ დასახული მიზანი: შიდა ქართლში დარჩენილი და იქიდან გამოხიზნული ხალხის ტკივილისა და საზრუნავის გამოხატვა.

* * *

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრამ და მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტმა გამართეს სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ხსოვნას. სესია გაიმართა ტრადიციისამებრ 8 იანვარს. მოხსენებებით გამოვიდნენ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები გ. კვარაცხელია, თ. უთურგაიძე, ი. სანიკიძე, ვ. გოგოლაშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატები შ. აფრიდონიძე, ლ. გვენცაძე, ნ. ლოლაძე.

# ორფევსი და ევრიდიკე

(მესამე ნაწილი)

როდესაც ორფევსი გონს მოეგო, ქვესკნელში - მიცვალებულთა სამეფოში - ჩასვლა გადაწყვიტა, ამისთვის კი მდინარე სტიქსის გადალახვა იყო საჭირო, რასაც ქარონის გარეშე ვერ შეძლებდა.

ქარონი მოხუც მენავეს ერქვა, რომელსაც მიცვალებულთა სულები გადაჰყავდა ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანაში.

1. შემოხაზე იმ მდინარის სახელი, რომელიც ორფევსს უნდა გადაელახა.

ევფრატი ფაზისი ნილოსი სტიქსი

კიდევ რომელი მდინარის დასახელება შეგიძლია?

1. ........................ 2. ........................

3. ........................ 4. ........................

5. ........................ 6. ........................

7. ........................ 8. ........................

9. ........................ 10. ........................

შენ უკვე იცი, რომ ორფევსი, ევრიდიკე და თრაკია საკუთარი სახელებია. ახლა დაიმახსოვრე, **საკუთარი სახელია**, თუ ის ჰქვია ერთ რომელიმე საგანს: ქვეყანას ან კუთხეს, სოფელს ან ქალაქს, მთას, ადგილს, მდინარეს, ტბას და სხვა.

2. ცარიელ უჯრებში ჩაწერე მითის ამ მონაკვეთში ნახსენები საკუთარი სახელები.



# ხვითო

## შემეცნებითი თამაში ქართული ენის სახალისო ფონეტიკის, გრამატიკის, ლექსიკოლოგიისა და სტილისტიკის ელემენტებით.

3. ყურადღებით წაიკითხე ქვემოთ ჩამოთვლილი სიტყვები და საკუთარ სახელებს ქვეშ ხაზი გაუსვი:

ტყე, გიორგი, სახლი, მაგიდა, ლაშა, თბილისი, ჭავჭავაძე, ბუჩქი, მგელი, მტკვარი, ელენე, წიგნი, წყნეთი, ბალახი.

ამ თოთხმეტი სიტყვიდან შენ მიერ ხაზგასმული შვიდი სიტყვა საკუთარი სახელია, დანარჩენი შვიდი კი - საზოგადო.

ისეთ სიტყვას, რომელიც აღნიშნავს მრავალ ერთნაირ საგანს, **საზოგადო სახელი** ეწოდება.

4. შეავსე ცარიელი უჯრები




გაგრძელება შემდეგ ნომერში.
დასაწყისი იხ. "ზგ" №12, 1996 წ. №1, 1997 წ.

# სიახლე, რომელსაც იმედის თვალით შევყურებთ










## საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 24 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის შექმნის შესახებ

საქართველოს სახელმწიფო ენის ფუნქციონირების, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვის, ენობრივ ურთიერთობათა სფეროში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების უზრუნველყოფის, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის საქმიანობის უკეთ ორგანიზების მიზნით:

1. შეიქმნას საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა.

2. ენის სახელმწიფო პალატის ცენტრალური აპარატი განისაზღვროს 20 საშტატო ერთეულით (ტექნიკური პერსონალის ჩათვლით).

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (დ. იაკობიძე) ენის სახელმწიფო პალატის შექმნასთან დაკავშირებული შესაბამისი ხარჯები გაითვალისწინოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში.

4. დაევალოს საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურსა (ი. ანდრიაძე) და ქ. თბილისის მერიას (ნ. შოშიტაიშვილი) ენის სახელმწიფო პალატის შესაბამისი სამუშაო ფართობითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა.

5. ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარემ ორ კვირაში წარმოადგინოს დასამტკიცებლად:

ა) ენის სახელმწიფო პალატის დებულება;

ბ) ენის სახელმწიფო პალატის სტრუქტურა;

გ) ენის სახელმწიფო პალატის ხარჯთაღრიცხვის პროექტი.

6. დაევალოს მთავრობის ადგილობრივ ორგანოებს, სამინისტროებსა და უწყებებს შესაბამისი რეგიონალური სტრუქტურების შექმნით ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ენის სახელმწიფო პალატის საქმიანობას.

7. ენის სახელმწიფო პალატის რეგიონული ქვედანაყოფები ჩამოყალიბდეს ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯზე ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით (ორმაგი დაქვემდებარების წესით).

ე. შევარდნაძე

## საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 24 იანვარი ქ. თბილისი

ლ. ლეჟავას საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ლევან ლეჟავა საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე










**რედაქციისაგან:**

დიახ, იმედით შევხვდით საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებას, მაგრამ სჯობდა, სათაურშივე დაზუსტებულიყო, რომელი ენის შესახებაა საუბარი. ჩვენი აზრით, უფრო მართებული იქნებოდა ამგვარი სახელწოდება: „ქართული ენის სახელმწიფო პალატა".

